ო, ალლაჰ, დამაშორე მე ჩემს ცოდვებს ისე, როგორც დააშორე ერთმანეთის აღმოსავლეთი და დასავლეთი

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) როცა ლოცვაში თაქბირს ამბობდა, მცირე ხნით ჩუმდებოდა, სანამ კითხვას დაიწყებდა. მე ვკითხე: "ო, ალლაჰის შუამავალო, მამაჩემი და დედაჩემი იყოს შენს სანაცვლოდ, რას ამბობ იმ დროს, თაქბირსა და კითხვას შორის რომ ჩუმდები?" მან უპასუხა: «ვამბობ: ო, ალლაჰ, დამაშორე მე ჩემს ცოდვებს ისე, როგორც დააშორე ერთმანეთის აღმოსავლეთი და დასავლეთი; ო ალლაჰ, გამწმინდე ჩემი ცოდვებისგან, როგორც თეთრი სამოსი იწმინდება ჭუჭყისგან; ო, ალლაჰ განმბანე ჩემი ცოდვებისგან თოვლით, წყლით და სეტყვით».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), როდესაც თაქბირს ამბობდა ლოცვაში, მცირე ხნით ჩუმდებოდა, სანამ ფაათიჰას კითხვას დაიწყებდა. ამ დროს ლოცვას იწყებდა ზოგიერთი დუა-ს წარმოთქმით. «ო ალლაჰ, დამაშორე მე ჩემს ცოდვებს ისე, როგორც დააშორე ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი; ო ალლაჰ, გამწმინდე ჩემი ცოდვებისგან, როგორც თეთრი სამოსი იწმინდება ჭუჭყისგან; ო ალლაჰ, განმბანე ჩემი ცოდვებისგან წყლით, თოვლით და სეტყვით». ის თხოვდა ყოვლისშემძლე და დიად ალლაჰს, დაეშორებინა იგი ცოდვებისგან ისე, რომ საერთოდ არ ჩაედინებინა და რომ ეს ცოდვები არასოდეს შეხვედროდნენ მას, როგორც აღმოსავლეთი და დასავლეთი არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს. ხოლო თუ მაინც ჩაიდენდა მსგავსს, ალლაჰს სთხოვდა, გაეწმინდა იგი ამ ცოდვებისგან და მოეშორებინა ისინი, როგორც თეთრი სამოსი იწმინდება ჭუჭყისგან. აგრეთვე, იგი თხოვდა, დაებანა მისი ცოდვები და გაეცივებინა მათი სითბო წყლის, თოვლისა და სეტყვის საშუალებით, რომლებიც აგრილებენ და წმენდენ.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3104